შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 189-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვის მიზნით, სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის (შემდგომში - „საზოგადოება“) ხელმძღვანელი ორგანო - გენერალური დირექტორი აქვეყნებს წინამდებარე შეტყობინებას.

საერთო კრება გაიმართება 2025 წლის 14 ივლისს, შესაბამისად, დაცულია ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი საერთო კრების მოწვევის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების მინიმალური ვადა.

ასევე, საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია საზოგადოების ოფიციალურ ვებგვერდზე კანონით დადგენილი წესით (www.primeinsurance.ge).

საერთო კრების მოწვევის შესახებ კანონით დადგენილი სავალდებულო მონაცემები:

ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება და იურიდიულ მისამართი - სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი; მის.: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N24, სადარბაზო 1, სართული 6, ოფისი 6.

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N24, სადარბაზო 1, სართული 6, ოფისი 6. 2025 წლის 14 ივლისი 11:00 საათი (სხდომა გაგრძელდება 2 საათი, 13:00 საათამდე).

გ) ტარდება მორიგი საერთო კრება.

დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე არის 2025 წლის 01 ივლისი, საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ საზოგადოების ორივე პარტნიორს -

- სს მერკური ეუროპა ჰოლდინგს (MERCURY EUROPE HOLDINGS S.A. (MEH)) (ს/ნ B 165501);
- გიუნაი ალიევა (პ/ნ C03605448).

რამდენადაც, სააღრიცხვო დღისთვის ირიცხებიან აქციონერებად.

ე) საერთო კრების დღის წესრიგი:

- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (ემინ ბაბაევი (პასპორტის ნომერი C00874594; გაცემის თარიღი: 11.07.2025; ვადის გასვლის თარიღი: 10.07.2025)) დანიშვნა;
- საზოგადოების ახალი წესდების დამტკიცება;
- საერთო კრების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ცვლილების სახით ასახვა სადამფუძნებლო შეთანხმებაში.

საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო - გენერალური დირექტორი.

გენერალური დირექტორი
მარეხი გურული

Marekh Guruli 20001002523

Digitally signed by Marekh Guruli
Date: 2025.06.12 11:50:57